

TEXT AND INTERPRETATION

GIORGI KHORBALADZE “LITERATURE TO READ AGAIN (ANTI-SOVIET PATHOS
AND BIBLICAL PARADIGMS IN THE LITERARY HERITAGE OF NODAR
DUMBADZE“

ტექსტი და ინტერპრეტაცია

გიორგი ხორბალაძის „ახლიდან წასაკითხი ლიტერატურა (ანტისაბჭოთა პათოსი და ბიბლიური პარადიგმები ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში)“

Nana Kutsia

Ph Doctor in Philology,
Associated Professor of Sokhumi State University,
Tbilisi, Politkovskaya St., 26, 0186, Georgia,
+ 995 77 45 36 16, nkucia 68@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-4057-7536>

Miranda Todua

Ph Doctor in Philology,
Associated Professor of Sokhumi State University,
Tbilisi, Politkovskaya St. 26, 0186, Georgia
+995 58 331 991, mirandatodua@gmail.ru
<https://orcid.org/0009-0007-2920-9464>

Abstract. Postmodernism/Altermodern is the epoch of literary versions and interpretations. The outstanding Persons/authors of Postmodern epoch create the interesting versions and interpretations of well-known, conceptual texts of the world literature (Jullan Barnes/“Flaubert`s Parrot”, Michael Cunningham/ “The Hours”, Boris Akunin/“Hamlet”. Version” – conceptual narratives inspired by the outstanding writers of French Realism, English Modernism, Renaissance – Flaubert, Woolf, Shakespeare).

In Georgian literature identical world-outlook is reflected in the literary narratives of Rostom Chkheidze, Aka Morchiladze (“Georgian Literature”, “Georgian Notebooks. Nineteenth Century”, biographical portraits of famous Georgian authors).

In the article we`ll try to analyse a new monograph of the professor Giorgi Khorbaladze “Literature to Read Again (Anti-Soviet Pathos and Biblical Paradigms in the Works of Nodar Dumbadze)”, exegetical explanation, interpretation of the novel by Nodar Dumbadze “The White Flags/Banners”.

Postmodernism (the Literary school as well as an epoch) underlines – it needs a well-educated reader as/because it`s “the literature of/for professors only”.

Key Words: Postmodernism, Text, Interpretation, Exegetical (meaning).

ნანა კუცია

ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 26, 0186, საქართველო,
+ 995 77 45 36 16, nkucia 68@gmail.com
<https://orcid.org/0000-0003-4057-7536>

მირანდა თოდუა

ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 26, 0186, საქართველო
+995 58 331 991, mirandatodua@gmail.ru
<https://orcid.org/0009-0007-2920-9464>

აბსტრაქტი. პოსტმოდერნი/ალტერმოდერნი ნაირწაკითხვის ხანაა, ვერსიებისა და ინტერპრეტაციების ლეგიტიმაციის ჟამი. მსოფლიო პოსტმოდერნის გამორჩეული ხმები/ავტორები სწორედ *ვერსიებად*, *ინტერპრეტაციებად* სთავაზობენ მკითხველს გამორჩეულივე, საეტაპო ტექსტების ზემოთ ხაზგასმულ ნაირწაკითხვას. ნიმუშ(ებ)ად დავასახელებდით ჯულიან ბარნის „ფლობერის თუთიყუშს“, მაიკლ კანინგამის „საათებს“, ბორის აკუნინის „ჰამლეტი. ვერსია“-ს - მხატვრულ-ესეისტურ ნარატივებს, რომლებშიც ახალ სიცოცხლეს იძენენ ფრანგული რეალიზმის, ინგლისური მოდერნიზმის თუ ინგლისურივე რენესანსის საკულტო პერსონალები (ფლობერი, ვულფი, შექსპირი) თუ მათ პერსონაჟები - ხელახალი/ახლებური გააზრების წყალობით.

ქართულ პოსტმოდერნიზმი მსგავსი, ეროვნული თუ უცხოური ლიტერატურის კლასიკოსებისა თუ მათი ტექსტებისა და პერსონაჟების უაღრესად საინტერესო აღქმა-გააზრება-ინტერპრეტაციები ირეკლება როსტომ ჩხეიძის, აკა მორჩილადის მხატვრულ-ესეისტურ ნარატივებში (მონოგრაფიებში „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“, „ქართულის რვეულები. მეცხრამეტე საუკუნე“, ცალკეულ ავტორთა შესანიშნავ ბიოგრაფიულ-ინტერპრეტირებულ პორტრეტებში).

წინამდებარე წერილში ყურადღებას გავამახვილებთ პროფესორ გიორგი ხორბალაძის მონოგრაფიაზე „ახლიდან წასაკითხი ლიტერატურა“.

იმთავითვე აღვნიშნავთ, რომ პოსტმოდერნი (ლიტერატურული იზმი და ეპოქა) თავადვე კონსტატირებს, რომ *პროფესორთა ლიტერატურაა*, ანუ - იგულისხმებს, დაისაჭიროებს სათანადოდ მომზადებულ მკითხველ-ინტერპრეტატორს.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნი(ზმი), ტექსტი, ინტერპრეტაცია, ეგზეგეტიკა.

შესავალი. გიორგი ხორბალაძის მონოგრაფია მრავალშროვანია - მკითხველს მრავალი განსხვავებული (ჰერმენევტიკულ-ეგზეგეტიკური, ისტორიულ-პოლიტიკური, საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობითი...) რაკურსითა და ასპექტით მიეწოდება ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ნარატიული დისკურსის არსებითი თავისებურებების მკვლევრისეული ანალიზი, რაც მონოგრაფიას უაღრესად საინტერესო საკითხავად აქცევს როგორც საკუთრივ სამეცნიერო, ასევე - ესეისტურ-მხატვრული დისკურსის თვალსაზრისითაც (როგორც, მაგალითად, ეკოს ცნობილი ნარატივი „როგორც დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი“).

მონოგრაფიის მრავალი შრიდან გამოვკვეთთ ეგზეგეტიკურ-ჰერმენევტიკულს, რაც, რასაკვირველია, დაადასტურებს პოსტმოდერნის ეპოქაში შექმნილი ტექსტ(ებ)ის უმჭიდროეს კავშირს ქართული ლიტერატურის უმკვიდრეს ლიბოსთან - წმინდა წერილსა და ჰაგიოგრაფიულ (არამხოლოდ ქართულ) ნარატივებთან. ხაზგასმული რაკურსი განსაზღვრავს გიორგი ხორბალაძისეული - საინტერესო, საგულისხმო, მნიშვნელოვანი კვლევის დისკურსსაც.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია *ისტორიულ-შედარებითი, ჰერმენევტიკული, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.*

შედეგები და მსჯელობა. მკვლევარი, უპირველესად, ინტერესდება ავტორის ბიოგრაფიის, პერსონალური სულიერი სამყაროს ანარეკლით მხატვრულ ტექსტში, ეპოქისა და პიროვნების შინაგანი (ხან ხილული, ხანაც - შეფარული, დაქარაგმებული) კონფლიქტის გამოვლინებ(ებ)ით, ასკვნის, რომ *მწერალი ბოროტშიც ეძიებს სიკეთის ანარეკლს*, რაც მოულოდნელი არაა *ბოროტის უარსობის* ფსევდო-დიონისე არეოპაგისეული (*ნუცუბიძე-ჰონიგმანისეული ვერსიით, პეტრე იბერისეული*) განაზრებების ტრადიციის ქვეყანაში.

მონოგრაფიული ნარატივის დისკურსი ესეისტურ-მეცნიერულის ორიგინალური სინთეზია, ამდენად, ავტორი დაიმოწმებს ავტორიტეტულ მკვლევართა განაზრებებს(აც). ელგუჯა მალრადის აღქმით, დუმბაძე *„ხატავს ადამიანებს, რომლებსაც [ავტორისავე] შინაგანი სიკეთის სული უდგათ* (მალრადე, 1983: 514), სერგი ჭილაიას განაზრებითაც, მწერალმა სწორედ *„ხასიათების ხატვით გაითქვა სახელი* (ჭილაია, 1986: 129). გიორგი ხორბალაძეც აღნიშნავს, რომ *„ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია და შემოქმედება ერთ საერთო განზომილებას ქმნის, ... კვლევისას ერთიანობის ეს განცდა უთუოდ უნდა იყოს გათვალისწინებულიო“* (ხორბალაძე, 2024: 12).

საუბრობს რა ტექსტის ინტერპრეტაციის პრობლემაზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, მკვლევარი მოიყვანს სოსო სიგუას თვალსაზრისს - *„დროა, ნოდარ დუმბაძის პროზის იმპრესიონისტული აღქმა მეცვალოს ანალიტიკურმა განსჯამო“* (სიგუა, 1984: 27).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გიორგი ხორბალაძე სწორედ აღნიშნული დისკურსით - *იმპრესიონისტული აღქმის ნაცვლად, ანალიტიკური განსჯის* პრინციპით იკვლევს ნოდარ დუმბაძის პროზის მრავალაშრიან სტრუქტურას, ზოგადად, შემოქმედებით სივრცეს, სამყაროს. მკვლევრის მიერ შესწავლილ-გაანალიზებულ საკითხებს საგანგებოდ ჩამოვთვლით ფინალურ პასაჟში ჩვენი წერილისა, რომელშიც ლაპიდარულადაა წარმოჩენილი უაღრესად საინტერესო აღქმა რომან „თეთრი ბაირაღების“ ეგზეგეტიკური შრისა.

გიორგი ხორბალაძის აბსოლუტურად სწორი აღქმით, საპირისპიროდ ერზაცსივრცეში გაბატონებული თვალსაზრისისა, რომანის კონცეპტუალურ პერსონაჟთა - ნაკაშიძისა და დევდარიანის დიალოგის კონცეპტი არა კრიმინალური სივრცის ფეტიშიზაცია, არამედ სრულიად საპირისპიროა - საზოგადოების მიერ სამართლიანად თუ უსამართლოდ მარგინალიზებული შრის შინაგანი სამყაროს (*ინგლისური ტერმინით -*

inner life) ღრმა, ტრაგიკული შრეების ჩვენებით (ავტორი პოსტმოდერნისტულ სივრცეში თითქოს აცოცხლებს არქეტიპულ მოდელებს ჯვარცმული ავაზაკისა, მოსე შავისა, „იდიოტისა“ და „სარჩობელაზედ“ მარგინალიზებული მსხვერპლისა, „უცხო“ პერსონაჟისა, რაც საგანგებო საკვლევ სივრცეს მონიშნავს).

მკვლევრის მართებული აღქმით, დევდარიანი ნაკაშიძისათვის არა რომანტიზებული, არამედ - ტრაგიკული ადამიანია, რომელსაც ნაბიჯილა დააკლდა სწორ გზაზე შემობრუნებამდე - სიყვარულში გამართლება მას ჭეშმარიტ ბედნიერებას, ადამიანურ ცხოვრებას აზიარებდა, ხოლო ის, რაც ახლა აქვს, უბედურების ყოველდღიურობაა, რომლამდეც არჩეულმა თუ თავსმოხვეულმა ცხოვრების წესმა მიიყვანა (ხორბალაძე, 2024: 18), რაც დედის ფრაზის ციტირებითაცაა გამყარებული: „არც ერთი დედა არ ზრდის შვილს მკვლელად, მორფინისტად და ქურდად. მე მას ოცი წლის განმავლობაში სახარებას ვასწავლიდი და ვუკითხავდი ძილის წინ“ (დუმბაძე, 2012: 111).

ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის ერთ-ერთ მიზეზად (ასევე მართებულად) მკვლევარ-ესეისტს მიაჩნია სამწუხარო ფაქტი, რომ მკითხველთა თუ მკვლევართა უმრავლესობას რომანის ეკრანიზაცია უფრო ახსოვს, ვიდრე თავად რომანი.

„გაურკვეველ-ვულგარული დემოკრატია ვერ იგუებს ცნობიერების და სილამაზის სამფლობელოს“ (კოტეტიშვილი, 2016: 21), ამდენად, ერზაცმკითხველისათვის მხოლოდ რომანის ზედაპირული (პირველი) შრეა მისაწვდომი. აქვე დავაზუსტებთ, რომ ტექსტის აღქმის დონეები ჯერ კიდევ კან გრანდე დელა სკალას აქვს განსაზღვრული მეცამეტე საუკუნეში - ბუკვალური აღქმიდან - ანაგოგიურამდე (ჰაი, 1983: 375).

სწორედ ზემოთ ხაზგასმული ვულგარული/ზედაპირული აღქმის საპირისპირო განაზრებას სთავაზობს მკითხველს გიორგი ხორბალაძე - ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმების ანალიზს.

საგანგებოდ უღრმავდება რა რომანის ქრონოტოპსა და (ქვე)სათაურების სიმბოლიკას, მკვლევარი-ესეისტი ხაზს უსვამს, რომ *ტოპოსი* (ციხის საკანი) სიმბოლური სივრცეა, უფლის სამსჯავროსთან ასოცირებული - „მუნ სადა იგი არა არს თუალღებამ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა“ („შუმანიკის წამების“ ქრესტომათიულ პასაჟს ციტირებს მკვლევარი).

ჯოჯოხეთის ერთგვარ წინარემოდელად, წინარეჯოჯოხეთად გაიაზრება რესტორან „მადას“ *ბნელი დარბაზი*, ხაზგასმულია, რომ პურისმტენი ამ დარბაზში *ჩაირბენენ* (დაკონკრეტებულია ზმნა-შემასმენლის გეზი და მიმართულება - სვლა ქვემოთ, მინიშნება დადმასვლაზე. როგორც დოჩანაშვილი იტყოდა, *დაღმართი ბევრია, აღმართი - ცოტა*), იქმნება წარმოდგენა, რომ ეს ადგილი მიწისქვეშეთია, ჰადესი, სამყაროს მიკრომოდელიც, ჭუჭყიანი, მოყაყანე, ბნელი, საიდანაც სუფთად, გაუსვრელად (გ)ამოღწევა შეუძლებელია.

მკვლევარი-ესეისტი აღნიშნავს, რომ რომანში ბიბლიურ-ქრისტიანული ხაზის არსებობას თავად ავტორი უთითებს (*გიორგი ხორბალაძეს მოჰყავს ამონარიდი მწერლის დიალოგიდან კობა იმედაშვილთან*): „როდესაც „თეთრი ბაირაღების“ მოდელად, ანუ, სიუჟეტურ ჩარჩოდ, ბიბლიური თემა - ნოეს კიდობანი - გამოვიყენე, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ საკუთარი არ მქონდა და ამიტომ სხვისი მოურგებელი პერანგი ჩავიცვი... მშვენივრად ვიცოდი, რომ ნოეს კიდობანმა ადამიანთა მოდგმა გადაარჩინა და რომ თავად ვარ იმ გადარჩენილ ადამიანთა ნაშიერი, მაგრამ ამ მოვლენაზე უფრო ის მაინტერესებდა, თუ რა მოხდა ამ ორმოც დღეში, რა ვნებები, რა განცდები აწუხებდა და რა მოლოდინით ცხოვრობდა კიდობანში ნოე და მისი „ეკიპაჟი“. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ამ ორმოცმა დღემ განსაზღვრა და განაპირობა ნოეს აქეთ არსებული კაცობრიობის მორალური და ზნეობრივი საქციელი. იმ ორმოც დღეში არ შეიძლება ნოეს ანალიზი არ გაეკეთებინა იმ შემზარავი სასჯელისათვის, რომლითაც დასაჯა გამჩენმა მის მიერვე შექმნილი და სულჩადგმული ადამიანი. *მხოლოდ ასე და ამ ასპექტში უნდა იქნეს*

წაკითხული ყოველი მითოლოგიური და ბიბლიური ტექსტი. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია და ვფიქრობ, არც შეიძლება“ (იმედაშვილი, 1982: 223).

მკვლევარი წუხილით აღნიშნავს, რომ ციხის პასაჟების ეგზეგეტიკურ შრეზე, სამწუხაროდ, ყურადღება არავის გაუმახვილებია, ამდენად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ტექსტს და ყოველ პასაჟსა თუ დეტალში სწორედ ეგზეგეტიკურ პლასტს აქცენტირებს.

ულრმავედება რა რესტორნის სახელის სემანტიკას თუ სემიოტიკურ დატვირთვას, დაიმოწმებს მათეს სახარების (15, 29-31) ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელისეულ განმარტებას: „მცნებათა მთაზე, სადაც უფალი ზის, შენც ადი. თუნდაც ბრმა იყო და შენ თვითონ მშვენიერების ხილვა არ შეგეძლოს, კოჭლიც რომ იყო და სილამაზეს კი ხედავდე, მაგრამ მასთან მიახლების *მ ა დ ა* არ გქონდეს... სხვა რამ სენიც რომ გჭირდეს, ფეხებში ჩაუვარდი იესოს და, შეეხები რა მისი ამქვეყნიური ცხოვრების კვალს, განიკურნები“ (Феофилакт Болгарский, 1988: 46).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ სწორედ აქ, ფსკერზე, მომხდარი საბედისწერო ინციდენტი განსაზღვრავს უფალთან მიახლ(ო)ების მძაფრ „მადას“ (*ჰაგიოგრაფიის კონცეფციით - საღმრთო შურს (სურვილს)*), რაც, ვფიქრობთ, აღქმის სრულიად გამართლებული რაკურსია, ისევე, როგორც მკვლევარ-ესეისტისეული ანალიზი რომანის პასაჟისა სათაურით „*მეხუთე მეთათე*“, რაც მათეს სახარების მეხუთე თავის მეთათე მუხლზე მინიშნებად კონსტატირდება: „ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“ (მათე 5, 10). *სიმართლისთვის დევნილი უსამართლოდ დევნილია*, ამდენად, მკვლევრის დისკურსით, ზაზა ნაკაშიძეც მეხუთე მეთათეა, ჩაუდენილი დანაშაულისთვის რომ ასამართლებენ და დევნიან (ხორბალაძე, 2024: 31).

მკვლევარი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას პასაჟის ქვესათაურზე „*პატიოსანი სიტყვა*“, *პატიოსანს* ჯვრის ეპითეტად მართებულად იხსენიებს, დაიმოწმებს იოანეს სახარების მღვდელ დიაჩნოსეულ განმარტებას: „დღესასწაულობს რა მსოფლიო ამაღლებას უფლის *პატიოსანი* და ცხოველმყოფელი ჯვარისა, წმიდა ეკლესია ამ დღესასწაულზე განადიდებს ჯვრის სასწაულთმოქმედ ძალას და, ამასთანავე, ქრისტიანთა აზრებს და სულიერ მზერას მიაპყრობს ჩვენი უფლის ვნებებსა და ჯვარზე სიკვდილს. ამიტომაც აწინდელი დღის სახარებაში იგი წარმოგვიდგენს პილატესთან იესო ქრისტეს გასამართლებას და უფლის ვნებას ჯვარზე“ (დიაჩნო, 2001: 68). ვიზიარებთ მკვლევრისეულ თვალსაზრისს, რომ სიტყვა „*პატიოსანი*“ ჯვარს მიემართება - „*დღის სახარებაში იგი წარმოგვიდგენს პილატესთან იესო ქრისტეს გასამართლებას*“, ხოლო უსამართლოდ ბრალდებული ნაკაშიძის ამბავი, აქედან გამომდინარე, ზოგადი კონტექსტიდან შესაძლებელია აღქმულ იქნეს ბიბლიური სიუჟეტის ალუზიად.

საგანგებოდ შეჩერდება მკვლევარი სინტაგმის მეორე (უარსებითეს) კომპონენტზეც - ს ი ტ ყ ვ ა შ ი თავად უფლის სახელი მოიაზრება: „*დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა*“ (იოანე 1:1); „*სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენ შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით სავსე. და ვიხილეთ დიდება მისი, დიდება მხოლოდშობილისა მამის მიერ*“ (იოანე 1:14).

ქვეთავი „*წამიყვანე, მზეო!*“, მკვლევარ-ესეისტის დაკვირვებით, განსხვავებით სხვა პასაჟებისაგან, თითქოს ფანტასმაგორიულ ელემენტებზეა აგებული, მზე გაპიროვნებულია და მას ის თვისებები აქვს მიკუთვნებული, რაც, როგორც ციურ სხეულს, არ გააჩნია; თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მზე უფლის სახელიცაა, „ვის ხატად ღმრთისად [იტყვიან] ფილოსოფოსნი წინანი“, „ვეფხისტყაოსნის“ კონცეფციისამებრ.

მკვლევარი პასაჟიდან საგანგებოდ ამოწერს პერსონაჟის სიტყვებს: „*უსამველოდ ნათელო, თბილო, მაცოცხლებელო და დაუშრეტელო მზის სხივების პატარა კონავ, ნუთუ იმიტომ წამოხვედი ასეთი შორეთიდან, ნუთუ იმიტომ გაიარე ასეთი სისწრაფით ჯერ ცა, მერე – მთა, ველი, ნუთუ იმისათვის გაძვერი, როგორც ნემსის ყუნწში, ციხის ალაყაფის*

ჭუჭრუტანაში და ჩემი საკნის დაჟანგულ გისოსში, რომ მხოლოდ ხუთი წუთით დაგედო თავი ჩემი ბალიშის ყურზე, ოდნავ გაგებო ჩემი ცივი სხეული, მხოლოდ ერთხელ გადაგესვა შენი თბილი ხელი ჩემს სახეზე?!“ (დუმბაძე, 2012: 271).

კონცეპტუალურადაა მიჩნეული პერსონაჟის მუდარა მზიდსადმი: „გემუდარები, ვიდრე ივლისია, ნუ დამტოვებ, წამიყვანე ხოლმე, მზეო!“ (დუმბაძე, 2012: 277) - ივლისის მზე მზეა ლომის თანავარსკვლავედში (ივლის-აგვისტო). „ვეფხისტყაოსანშიც“ მზე „ლომის წილია“, ანუ ასტრონომიულ/ასტროლოგიურად - „სოლ ინვიქტუსი“ - უძლეველი მზე, ყველაზე მცხუნვარე და დაუმარცხებელი - უფალივით... „წამიყვანე“ კი გურამიშვილისეულ ვედრებასაც მოაგონებს მკვლევარს - „ნუ დამტოვებ, წამიყვანე მანდა!“

გიორგი ხორბალაძე იმოწმებს ტერმინ „ხილვის“ ბიბლიურ-ეგზეგეტიკურ განმარტებას: „*მკაფიოდ აღბეჭდილ ხატებათა ჩაფიქრებული ან სპონტანური ხილვა არ გულისხმობს აუცილებლად გარეგანი შერგონების აღქმას, აღინიშნება ნათელხილვის, ექსტაზის მდგომარეობად. ძველსა და ახალ აღთქმაში, წმიდანებისა და მისტიკოსების ცხოვრებათა აღწერებში გამაფრთხილებელი ხილვების მრავალი მაგალითია მოცემული*“ (ბიბლიური ენციკლოპედია, 2019: 128).

ხილვებიც კონცეპტუალური დატვირთვის პასაჟადაა გააზრებული კვლევაში, პერსონაჟი მსაჯულის, უფლის ამპლუას ითავისებს, კეთილსა და ბოროტს განსჯის, შურს არ იძიებს, ბოროტებას ბოროტებით არ უპასუხებს, მაგრამ სჯერა, რომ დამნაშავე უცილობლად უნდა განისაჯოს სამართლიანად, წმინდა წერილის კონცეფციისამებრ.

პასაჟისეული ენიგმები - სუფთა ჰაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნილი ბალახი, მოუჭრელი ხე, მოუგლეჯელი ყვავილი, მაგალობელი ჩიტი, უღრუბლო ცა - მკვლევარს სამოთხისეულ ტოპოსს მოაგონებს (როგორც კვირიას სიზმარი ბერ ლუხუმს ვაჟას „ბახტრიონში“).

სიმბოლურ-მეტაფორულ გააზრებას იძენს „ხილვა პირველსა“ და „ხილვა მეორეს“ შორის მოქცეული „ტანო ტატანო“ - ბესიკისეული ლექსის სათაურით ინსპირირებული. მკვლევარი საკვანძო დატვირთვისად მიიჩნევს ციტატას: „მოდით, მიჯნურნო, შემიბრაღეთ, მოვლეთ ჩემს არეს, მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს! ვაი, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!“ - ლირიკული გმირი განკითხვას, ან შენდობას (შებრაღებას) ითხოვს, რაც, მკვლევრის აზრით, სრულ თანხმიერებაშია რომანის ეგზეგეტიკურ კონცეფციასთან.

„*ხილვა მეორეში*“ პერსონაჟი კონსტატირებს, რომ ის, ზაზა ნაკაშიძე, ძე(ა) ნოესი: მე და მამაჩემმა მივეციტ კაცობრიობას მეორე დასაბამი“. მართალი ნოეს მედ სახელდება პერსონაჟის უდანაშაულობის კონსტატირებად აღუქვამს მკვლევარ-ესეისტს, პერსონაჟი სულის უკვდავების ქრისტიანულ ხედვას ახმოვანებს ფრაზით - „მე შენ მიყვარხარ უხსოვარი დროიდანო“.

პასაჟ „*ზნედაცემული ანგელოზის*“ ეგზეგეტიკური საფანელის ანალიზისას, მკვლევარი მოიყვანს ტოლსტოის ციტატას (უფრო ზუსტად, პერსონაჟის მიერ ციტირებული ტოლსტოის ფრაზას: ტოლსტოი ამბობს – „Дьявол - это падший ангел! – თავიდან ისიც ანგელოზი ყოფილა, შემდეგ გამხდარა ზნედაცემული. მე ტოლსტოისა მჯერა“), მართებულად აღნიშნავს, რომ, ეპოქის კონტექსტის გათვალისწინებით, ავტორი იყენებს მინიშნების ხერხს, ასევე ფიქსირებულს ირონიულ-ტრაგიკულ ციტატაში, *ბიბლიოთეკა, თორემ თქვენც სულ სახარება და ღვთის რჯული გაქვთ აქო. აღნიშნული ხერხი* აძლევს განზოგადების საშუალებას, დაასკვნას: პერსონაჟის ფრაზით ავტორი ახმოვანებს განწყობას - სახარება, საღმრთო სჯული, წმინდა წერილი წიგნთაგან აღმატებულია, კონკრეტულ ქრონოტოპში, ფსკერზე, ჯურღმულში (საკანში) ეს ფუფუნება მიუწვდომელია. მკვლევარი ვარაუდობს, რომ *ჩაკეტილი სივრცის მიკრომოდელი,*

პარალელურად, შეიძლება წარმოადგენდეს საბჭოთა რეჟიმის სახე-სიმბოლოსაც, სადაც თავისუფლებას და რწმენას უზღუდავენ ადამიანებს.

მკვლევარი დაძებნის მნიშვნელობებს ქვესათაურებისა „პაემანი“, „სენტიმენტალური ჰუმანიზმი“, „ისევ ვაითუ“, რათა ორიგინალურად წარმოაჩინოს ქრისტიანული მოძღვრებისა და კომუნისტური დოქტრინის დიქტომია (გოგოლისა და ლავრენტი პავლეს ძე(!) მებურიშვილის კამათის პასაჟი).

პასაჟის ქვესათაური „ყოფნა-არყოფნა“ არა მხოლოდ შექსპირთან ალუზიად გაიაზრება გიორგი ხორბალაძის კვლევაში, არამედ - სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონის ზეობისას საიქიო ცხოვრების ქრისტიანული აღქმის უალტერნატივობის ფიქსირებადაც.

საგანგებოდ უღრმავდება მკვლევარი-ესეისტი სათაურს პასაჟისა „წყარო დაბეჭდული“ (ამ სანტაგმას კონსტანტინე გამსახურდია დედისიმედის დასახასიათებლად იყენებს ტეტრალოგიაში „დავით აღმაშენებელი“, რაც მართებულადაა კონსტატირებული კვლევაშიც), ციტირებს სოლომონ ბრძენს: „მტილი მოკრძალებულ არს დაა ჩემი, სძალი, მტილი დაწმული და წყაროდ დაბეჭდული“ (სოლ. 4. 12) - ალეგორიულად, სწორედ უფალს გულისხმობს ამ სიტყვათშეთანხმებაში სოლომონი, სხვაგანაც იმეორებს იმავეს, „სატრფოს“ - უფალს „წყაროდ“ მოიხსენიებს: „წყაროდ, მტილი და ჯურღმული წყლისა ცხოველისა და მსწრაფლგამომავლისა ლიბანიით“ (სოლ. 4. 15). ნიკოლოზ ბარათაშვილის „ლოცვაშიც“ იგივე კონოტაციაა - „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთაო“ (ბარათაშვილი, 2012: 28), აღნიშნულია კვლევაში .

ფრაზაც - „ბადეს მოყოლილი ხუთი თევზივით ამოგვყარეს ჭერეხზე და ლაყუჩებში კავები გაგვიყარესო“ - ბიბლიურ ასოციაციებს აღძრავს, მოდევნებული ციტატაც ერთად პურის გატეხის შესახებ („და უბრძანა ერსა მას დასხდომად თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პურნი იგი მოწაფეთა თვსთა, და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას“ (მათე. 14. 19) (ახალი აღთქმაი, 2000: 32).

პასაჟში „არ გაფრინდე, შოშია!“ ხაზგასმულია ჯვარცმულის ენიგმა, უკანასკნელი ქვეთავის სათაურიც - „გამოვედ კიდობნისაგან“ - ალუზიურიაო, ვკითხულობთ მონოგრაფიაში.

„მზესავით გაღიმებული“ ნუნუ ექიმის პერსონაჟი, ერთდროულად, ღვთისმშობლისა და ევას პარადიგმულ სახედაა აღქმული, განაზრება შესაბამისი ციტაციითაა გამყარებული, ისევე, როგორც ეგზეგეტიკური დისკურსით გაანალიზდება ფრაზები:

1. „გათავდა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედა, ჩამესმა ყურში ნაცნობი მოხუცის ხავერდოვანი მოალერსე და თბილი ხმა. - გამოვედ კიდობნისაგან და აღუშენე საკურთხეველი უფალსა - და მერე უფრო შორეული, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერი, თბილი და მოალერსე ხმა. - აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას!“ (დუმბაძე, 2012: 277).

2. „ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარივით და თავისკენ მიმიზიდა, რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს, იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მივუახლოვდი და ხელი შევახე, მან არ დამწვა მე, ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერთელა აღმართს - მე და მზე, წინ - მზე და მე - უკან. ჩვენ ავედით სულ მაღლა. თოვლიან მწვერვალზე, ისე მაღლა, ისე მაღლა, როგორც არავინ“ (დუმბაძე, 2012: 283).

მკვლევარი ასკვნის, რომ პერსონაჟი არ საუბრობს ჩვეულებრივ მზეზე, ეს სხვა მზეა, მზე - რომელიც არ წვავს, რომელსაც თეთრ მწვერვალზე (იგულისხმება უფლისკენ მავალი, ინიციაციური გზა) მიჰყავს გმირი; ამდენად, ეს მზე ღვთისმშობელია, ხოლო მწვერვალზე განფენილი სითეთრე უფლის ყველგანმყოფობის განცდაა. გმირი ამბობს ფინალურ

პასაჟში: „მე გავშალე ბაირალი, მალა აღმართე და ავხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირალი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო“, და კიდევ ერთხელ, უკვე დასკვნის სახით, წერს უფლის სახელს ზაზა ნაკაშიძე, რომელიც მწერლის ალტერ-ეგოდ წარმოგვიდგება, რომლისთვისაც სამი მარადიული ღირებულება - სიკეთე, სათნოება და სიყვარული უფლის სამბუნებოვანი სახებაა“ (ხორბალაძე, 2024: 54).

დასკვნა. გიორგი ხორბალაძის მიერ პოსტმოდერნის ხანის მნიშვნელოვანი ავტორის, ნოდარ დუმბაძის პროზის (კონკრეტულად, რომან „თეთრი ბაირალების“) ეგზეგეტიკური შრის ანალიზი გვარწმუნებს, რომ შორს არაა დღე, რომლის შესახებაც როსტომ ჩხეიძე წერს, „იმედი გვასულდგმულებს, რომ დადგება ჟამი საქართველოს სახელმწიფოს ცხოვრებაში, როდესაც ლიტერატურა თავის მთავარ დანიშნულებად დაიტოვებს სულიერ ზეგავლენას ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად - ქრისტიანული ეკლესიის თანამდგომად და მოკავშირედ“ (ჩხეიძე, 2015: 120).

წერილში ყურადღება გავამახვილეთ გიორგი ხორბალაძის მონოგრაფიის „ახლიდან წასაკითხი ლიტერატურა“ კონკრეტული პასაჟის - რომან „თეთრი ბაირალების“ ეგზეგეტიკურ შრეზე.

გარდა ზემოთ წარმოდგენილი, ჩვენ მიერ ლაპიდარულად აღნიშნული საკითხებისა, მკვლევარი-ესეისტი უაღრესად საგულისხმოდ აანალიზებს სხვა კონცეპტუალურ პრობლემებსაც, რომელთა კვლევის სიღრმის წარმოსაჩენად მთელი წიგნის ციტაცია იქნებოდა უპრიანი, ამდენად, მხოლოდ კონსტატაციით შემოვიფარგლებით. ავტორი უღრმავდება ისეთ უმნიშვნელოვანეს შრეებს ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისა, როგორცაა: *პერსონაჟის ტიპოლოგიური დატვირთვა (ზაზა ნაკაშიძის დედის სახე-სიმბოლო)*, *ათი მცნებისა და ათი პატიმრის ურთიერთმიმართება რომანში*, *ბიბლიური პარადიგმები*, *სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართება როგორც უფლისა და ეშმაკის ჭიდილი რომანში* „მზიანი ღამე“, *მარიამ მაგდალელის ალუზია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში*, *საბჭოეთის სისტემურ მანკიერებათა მხილება-პანორამული ჩვენება რომანში* „თეთრი ბაირალები“, *რეჟიმის კრიტიკა იუმორისტული მოთხრობების რკალში*, *ქრისტიანობა VS კომუნიზმი რომანში* „მარადისობის კანონი“, *ამერიკისა და საბჭოთა კავშირის რეფლექსია-რეცეფციები მოთხრობაში* „ოდისეუსის დაბრუნება“.

ვფიქრობთ, კონსტატირებაც კი მონოგრაფიაში გაანალიზებული „წყევლაკრულვიანი საკითხავებისა“ წარმოაჩენს ახალგაზრდა მკვლევრის ერუდიციას, ქართული ლიტერატურის ისტორიის უწყვეტ კონტექსტში აღქმას, პოსტმოდერნის ხანის ტექსტების, კონკრეტულად, ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედების (ზოგადად) და „თეთრი ბაირალების“ (კონკრეტულად) უმჭიდროეს კავშირს, მეტიც, ინსპირირებულობას ეროვნული მწერლობის უმკვიდრესი ლიბოთი - ქრისტიანული სახისმეტყველებით, ეგზეგეტიკით.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი აღთქმა. (2000).

ბარათაშვილი, ნ. (2012). *რჩეული (ლექსები, პოემა, წერილები)*. თბილისი.

ბიბლიური ენციკლოპედია. (2019). წიგნი 4. თბილისი.

დიხაჩენკო, გ. (2001). *სადღესასწაულო სახარებათა განმარტება*. თბილისი.

დუმბაძე, ნ. (2012). *თეთრი ბაირალები. თხზულებანი 6 ტომად*. ტ. 3. თბილისი.

იმედაშვილი, კ. (1982). *მონოლოგი დიალოგიდან (ესე, ინტერვიუ)*. თბილისი.

- კოტეტიშვილი, ვ. (2016). *წერილები*. თბილისი.
- მარაძე, ე. (1983). *თხზულებანი 2 ტომად*. 2. თბილისი.
- სიგუა, ს. (1984). *აღთქმული ქვეყნის ძიება*. თბილისი.
- ჩხეიძე, რ. (2015). *ქართული მწერლობა თვალის გადავლებით*. თბილისი.
- ჭილაია, ს. (1986). *კაცთმოყვარეობის მხატვარი*. წერილები. თბილისი.
- ხორბალაძე, გ. (2024). *ახლიდან წასაკითხი ლიტერატურა (ანტისაბჭოთა პათოსი და ბიბლიური პარადიგმები ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში)*. თბილისი.
- Эко, У. (1983). *Имя розы*. Комментарии. Москва.
- Феофилакт Болгарский. (1988). *Толкование на Евангелие от Иоанна*. Москва.

REFERENCES

- akhali aghtkumai [New Testament]*. (2000).
- baratashvili, n. (2012). *rcheuli (leksebi, p'oema, ts'erilebi) [Selected Verses, Private Letters]*. Tbilisi.
- bibliuri entsik'lop'edia [Biblical Encyclopaedia]*. (2019). Book 4. Tbilisi.
- diachenk'o, g. (2001). *sadghesasts'aulo sakharebata ganmart'eba [Explanations of New Testament]*. Tbilisi.
- dumbadze, n. (2012). *tetri bairaghebi [The White Flags]*. *tkhzulebani 6 t'omad [Collection of Texts]*. Vol. 3. Tbilisi.
- imedashvili, k'. (1982). *monologi dialogidan (ese, int'erviu) [Monologs from Dialogs (Essay, Interview)]*. Tbilisi.
- k'ot'et'ishvili, v. (2016). *ts'erilebi [Essays]*. Tbilisi.
- maghradze, e. (1983). *tkhzulebani 2 t'omad [Works in 2 Volumes]*. 2. Tbilisi.
- sigua, s. (1984). *aghtkmuli kveqnis dzieba [Looking for Paradise (Essays)]*. Tbilisi.
- chkheidze, r. (2015). *kartuli mts'erloba tvalis gadavlebit [Georgian Literature]*. Tbilisi.
- ch'ilaia, s. (1986). *k'atstmoqvareobis mkhat'vari. ts'erilebi [The Writer-Humanist. Essays]*. Tbilisi.
- khorbaldze, g. (2024). *akhlidan ts'asak'itkhi lit'erat'ura (ant'isabch'ota p'atosi da bibliuri p'aradigmebi nodar dumbadzis shemokmedebashi) [Literary to Read Again. Anti-Soviet Pathos and Biblical Paradigms in the Works of Nodar Dumbadze]*. Tbilisi.
- Jeko, U. (1983). *Imja rozy [The Name of the Rose]*. Commentaries. Moscow.
- Feofilakt Bolgarskij. (1988). *Tolkovanie na Evangelie ot Ioanna [Explanation of John (Gospel)]*. Moscow.